ოქმი:**ო08. 3725316001**
თარიღი:**12/11/2025**

ოქმი № 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2025 წელი, 12 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

14:30 -15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, გ. კილაძე, ზ. სალუქვაძე, ზ. მორჩილაძე, ტ. ბარამიძე, ლ. კვაჭაძე, დ. ასათიანი, ლ. მესხი, დ. თოიძე, ლ. ქვილორია.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთის პარკში, თეატრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 9 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.19.15.003.178) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“-ოზურგეთის -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის საკითხი, განაცხადა, რომ განკარგულების პროექტი შემოსულია არსებული კანონმდებლობის დაცვით, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა შესაბამისად, მიწის ნაკვეთი გადაეცემა გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც ფართზე განათავსებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგურს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და განკარგულების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი